



საგრანტო კონკურსი დახურული ტიპის დაწესებულებებზე COVID-19-ის გავლენის მონიტორინგის ჩასატარებლად: მეორე ლოტი¹ ფსიქიატრიული საავადმყოფოები საქართველოში

კონტექსტი

ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტმა (NHC), ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით² და ორგანიზაციებთან „ფიფლ ინ ნიდ“ (People in Need, PIN) და AFEW International თანამშრომლობით, სამოქმედო რეგიონული „COVID-19-ის სოლიდარობის პროგრამა 2020-2022“³. პროგრამის განსახორციელებლად, NHC თანამშრომლობს ორგანიზაციასთან “ადამიანის უფლებები ფსიქიატრიაში” (ფედერაცია გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, FGIP). ეს პროგრამა ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომ მოახდინონ რეაგირება COVID-19-ის პანდემიის უშუალო და გრძელვადიან ეფექტებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ეს პროგრამა არის იმ მრავალი აქტივობიდან ერთ-ერთი, რომელსაც ახორციელებს კონსორციუმი ორგანიზაცია PIN-ის თაოსნობით. კონსორციუმის ზოგადი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უნარიანობის ამაღლება, რათა მათ ადეკვატური რეაგირება შეძლონ COVID-19 პანდემიიდან მომდინარე მოკლე და საშუალოვადიან გამოწვევებზე და გავლენა მოახდინონ იმ გრძელვადიან პოლიტიკურ რეფორმებზე, რომლებიც დაეხმარება მოწყვლად ჯგუფებს და მათ, ვინც პანდემიამ არაპროპორციულად დააზარალა.

მოწყვლადი ჯგუფები, რომელთაც ეს პროგრამა ფარავს, მოიცავს დახურული ტიპის დაწესებულებებში (როგორც ციხეები და სისხლის სამართლის სისტემის სხვა დაწესებულებები, ასევე ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანების სამყოფი დაწესებულებები) მცხოვრებ ადამიანებს. უკვე არსებობს სპეციალური საერთაშორისო ინსტრუქციები ამ ჯგუფებში COVID-19-ის პრევენციისა და მკურნალობისთვის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტივობა მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს მონიტორინგი და ანგარიშის წარმოება იმაზე, არის თუ არა და

¹ საგრანტო კონკურსის [პირველი ლოტი](#), რომელიც 2020 წლის 29 სექტემბერს გამოქვეყნდა, რეგიონული ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა მოეცვა როგორც ციხეების, ასევე ფსიქიატრიული საავადმყოფოების მონიტორინგი. შესარჩევი პროცესის შედეგად, მოკლე იქნა მხოლოდ ციხეები საქართველოში, რამაც მეორე ლოტის გამოქვეყნების საჭიროება წარმოშვა.

² „ეს დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ამ დოკუმენტის შინაარსი არის მხოლოდ და მხოლოდ ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტის პასუხისმგებლობა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას მიჩნეული ევროკავშირის პოზიციის გამომხატველად.“



Funded by European Union





EU COVID-19 Solidarity Programme for the Eastern Partnership

Standing Together

როგორ არის ეს ინსტრუქციები ასახული ეროვნულ რეგულაციებში და როგორ ხდება მათი აღსრულება. გარდა ამისა, სავარაუდოდ იარსებებს რეკომენდაციების გაცემის საჭიროება სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის და ხელისუფლებისთვის იმ პრობლემების კუთხით, რომლებსაც ისინი COVID-19-ის პრევენციისა და მკურნალობისას აწყდებიან.

ამ განცხადების მიზანია მოიძიოს საგრანტო პროექტები, რომლებიც ამ საკითხებზე 2020-2021 წლებში იმუშავენ.

საგრანტო კონკურსის მიზანი

NHC და FGIP მიზნად ისახავენ გრანტების გაცემას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რათა მათ ჩაატარონ იმის მონიტორინგი, თუ რა ეფექტი აქვს COVID-19-ის პრევენციისა და მკურნალობისთვის მიღებულ ზომებს საქართველოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მყოფ ადამიანებზე. ეს მოიცავს რელევანტური საკითხების სრულ სპექტრს, მათ შორის ჯანდაცვას (ან მისი მიწოდების შეფერხებას), ნათესავებთან და საყვარელ ადამიანებთან კონტაქტს (ან მის არარსებობას), ქვეყანაში COVID-19-ის წინააღმდეგ ვაქცინაციის პროგრამის ინკლუზიურობას და ადამიანის სხვა ძირითად უფლებებს რომლებსაც ზემოთ აღნიშნულთან აქვთ კავშირი. მონიტორინგისა და მისი შედეგების წარმოდგენის გარდა, მიზანია რეკომენდაციების გაცემა და დახმარების გაწევა დაინტერესებული მხარეებისთვის (მათ შორის დაწესებულებებში მყოფი ადამიანებისთვის, თანამშრომლებისთვის, ნათესავებისთვის, ადვოკატებისთვის) იმ პრობლემებთან გასამკლავებლად რომლებსაც ისინი COVID-19-ის პრევენციისა და მკურნალობის პროცესში აწყდებიან. მონიტორინგის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შესაძლოა გამოსადეგი აღმოჩნდეს ადგილობრივი პოლიტიკური ადვოკატირების მიზნებისთვისაც, რათა გაიზარდოს დახურული ტიპის დაწესებულებებში სახელმწიფოს ხელთ არსებულ პრევენციის მექანიზმებზე გავლენა.

განაცხადის წარმოდგენისთვის ვიწვევთ ორგანიზაციებს (ან კონსორციუმებს), რომლებსაც უკვე აქვთ წვდომა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებზე საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში, ან რომელიმე სხვა შეთანხმებიდან გამომდინარე. განმცხადებლებმა, რომელთაც არ აქვთ დახურული ტიპის დაწესებულებებში წვდომის უზრუნველყოფი ფორმალური ურთიერთობა სახელისუფლებო უწყებებთან, უნდა წარმოადგინონ მტკიცებულება, რომ გააჩნიათ მონიტორინგის გზით სანდო ინფორმაციის მოპოვების გამოცდილება და უნდა განმარტონ დეტალურად, თუ როგორ მოხდება ინფორმაციის მოპოვება.

შემოთავაზებული პროექტის მიზანი უნდა იყოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში არსებულ პირობებთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოებში COVID-19-სგან გამოწვეულ პრობლემებზე სპეციალური ყურადღების გამახვილების ხელშეწყობა.

შერჩეულ ორგანიზაციებს მიეწოდებათ დოკუმენტაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებში COVID-19-თან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების შესახებ. მათ



Funded by European Union





EU COVID-19 Solidarity Programme for the Eastern Partnership

Standing Together

ასევე ექნებათ წვდომა NHC-ის და FGIP-ის ექსპერტთა გუნდის მეთოდოლოგიურ რჩევებზე ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მონიტორინგსა და ჯანდაცვასთან დაკავშირებით.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ არაკომერციულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ან არაკომერციული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა კონსორციუმებს, რომელთაც იურიდიული პირის სტატუსი გააჩნიათ და დაფუძნებულები არიან საქართველოში.

კონსორციუმის შემთხვევაში, პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელია მთავარი განმცხადებელი ორგანიზაცია.

ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ ფორმალიზებული ურთიერთობა შესაბამის სამთავრობო უწყებებთან, რომლებიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოებზე წვდომას უზრუნველყოფენ. განმცხადებელმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ მას ამ დაწესებულებებთან მუშაობის გამოცდილება აქვს.

განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი მტკიცებულებები:

- არაკომერციული ორგანიზაციის სარეგისტრაციო სტატუსი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად
- შემოთავაზებულ პროექტთან შესაბამისობაში მყოფი აქტივობების განხორციელების სულ მცირე ოთხწლიანი გამოცდილება
- მსგავსი ზომის ბიუჯეტების განკარგვის გამოცდილება

საჯარო დაწესებულებები, სახელმწიფო სააგენტოები, ადგილობრივი თუ რეგიონული სამთავრობო უწყებები, პოლიტიკური პარტიები ან მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები არ აკმაყოფილებენ ამ განაცხადის წარსადგენად აუცილებელ პირობებს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ პროექტის [პირველი ლოტის](#) ფარგლებში გამართულ საგრანტო კონკურსში, აქვთ განაცხადის წარდგენის უფლება.

გრანტის ოდენობა და ხანგრძლივობა

NHC და FGIP სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს **6000 ევრომდე** ოდენობის თანხით დაუჭერენ მხარს. გრანტი მიენიჭება მხოლოდ ერთ განმცხადებელს, განცხადებათა ხარისხისა და ქვეყანაში არსებული შესაბამისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

შემოთავაზებული პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 9-დან 12 თვემდე.

NHC და FGIP იტოვებენ განმცხადებლებისთვის განაცხადებების ადაპტაციისა ან შერწყმის შეთავაზების უფლებას.





EU COVID-19 Solidarity Programme for the Eastern Partnership

Standing Together

დაუშვებელი ხარჯები

ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს განაცხადის ფორმაში აღწერილ აქტივობებს. მოცემული საგრანტო კონკურსი არ ითვალისწინებს შემდეგ აქტივობებსა და ხარჯებს:

- ინფრასტრუქტურული პროექტები (გზების დაგება, ხიდების და შენობების მშენებლობა და ა.შ.)
- მიწის ან უძრავი ქონების შეძენა
- პოლიტიკური ან რელიგიური აქტივობები
- გარემოს დამაზიანებელი პროექტები
- რეტროსპექტიული აქტივობები (საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე განხორციელებული აქტივობების ხარჯები)

დაშვებული ხარჯები ითვალისწინებს ყველა ხარჯს, რომელიც საჭიროა ისეთი აუცილებელი აღჭურვილობის შესაძენად, როგორცაა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ვაქცინები და IT/საკომუნიკაციო აღჭურვილობა.

განაცხადის შეტანის პროცესი

განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- დანართი 1 – განაცხადების ფორმა
- დანართი 2 – ბიუჯეტი
- ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა (ორიგინალი და ინგლისური თარგმანი)
- ორგანიზაციის წესდება (თუ შესაძლებელია, ინგლისურად)
- მსგავს პროექტებში მონაწილეობის გამოცდილების მტკიცებულება
- პროექტის გუნდის წევრთა რეზიუმეები
- თუ განაცხადს კონსორციუმი აგზავნის, განაცხადის ფორმაში (დანართი 1) აღწერილი უნდა იყოს კონსორციუმის წევრთა თანამშრომლობის პროცესი და ცალკეულ წევრებს შორის ფუნქციონირება გადანაწილება.

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ინგლისურ ან ქართულ ენაზე. ყველა წარმოდგენილი განაცხადი უნდა იყოს ხელმოწერილი განმცხადებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოწერილი განაცხადის ასლი უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულად.

განაცხადის დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: Covid19SP@nhc.nl

სრული განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა **2022 წლის 31 იანვარი**. არასრული ან დაგვიანებული განაცხადი არ მიიღება.



Funded by European Union





EU COVID-19 Solidarity Programme for the Eastern Partnership

Standing Together

დამატებითი ინფორმაცია

განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებული შეკითხვები შეგიძლიათ გააგზავნოთ ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: Covid19SP@nhc.nl

განაცხადების შერჩევის პროცესი

განაცხადი, რომელიც ქვემოთ მოცემული შესარჩევი კრიტერიუმების მიხედვით სულ მცირე 70 ქულას დააგროვებს, შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

	განაცხადების შერჩევის პროცესი	მაქსიმალური ქულა
1	რეალისტური ბიუჯეტი ეფექტური ხარჯებით	15
2	კავშირები, დადასტურებული გამოცდილება და კომპეტენტურობა მონიტორინგის წარმოებასა და ანგარიშების მომზადებაში	30
3	რისკების ანალიზი და მათთან გამკლავებისთვის საჭირო ზომები	10
4	ინდივიდუალური შემთხვევებისთვის შემდგომი თვალის მიდევნების უზრუნველყოფის შესაძლებლობა	20
5	ადგილობრივი/რეგიონული დამკვირვებლების ხელმისაწვდომობა	25
	ჯამში:	100

განაცხადზე პასუხს მიიღებთ **2022 წლის 28 თებერვლამდე** ელ. ფოსტის საშუალებით.

განაცხადების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი შენიშვნა თუ შემოთავაზება შეიძლება გაიგზავნოს NHC-ის ოფისში, მისამართზე Riviervismarkt 5, 2513 AM, The Hague, the Netherlands, ან ელ. ფოსტაზე: Covid19SP@nhc.nl



Funded by European Union

